სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

1 სექტემბერი 2025 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 129

2025 წლის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის - "ქალები მეცნიერებაში" - განსაკუთრებული მიღწევებისათვის მათემატიკის მიმართულებით დაწესებისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" და „პ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის (N1041855, 01.09.2025) სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დაწესდეს 2025 წლის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემია "ქალები მეცნიერებაში" - განსაკუთრებული მიღწევებისათვის მათემატიკის მიმართულებით და გამოცხადდეს კონკურსი;
2. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის "ქალები მეცნიერებაში" - განსაკუთრებული მიღწევებისათვის მათემატიკის მიმართულებით კონკურსის წესი და პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს „კრებსითი ინფორმაცია კონკურსის შესახებ" ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს სამოტივაციო წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს მეცნიერის პირადი ინფორმაციის (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. კონკურსის კოორდინატორებად განისაზღვრონ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის მთავარი სპეციალისტი - თამარ ბოკუჩავა და სპეციალისტი - შორენა დარჩიაშილი.
8. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
9. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი თ. დოჭვირი

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემია -"ქალები მეცნიერებაში" - განსაკუთრებული მიღწევებისათვის **მათემატიკის** მიმართულებით

კონკურსის წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი აწესებს პრემიას -"ქალები მეცნიერებაში" - **მათემატიკის** მიმართულებით განსაკუთრებული მიღწევების მქონე მეცნიერი ქალისთვის.

2. ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემია - "ქალები მეცნიერებაში" - განსაკუთრებული მიღწევებისათვის **მათემატიკის** მიმართულებით (შემდგომში - კონკურსი) - მიზანია გამოავლინოს და წაახალისოს **მათემატიკის** მიმართულებით მოღვაწე გამორჩეულად წარმატებული მეცნიერი ქალი.

3. კონკურსი ხელს უწყობს ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა ,,Horizon 2020"-ის ფარგლებში დაფინანსებული და განხორციელებული პროექტისათვის (CALIPER) დამტკიცებული „გენდერული თანასწორობის გეგმის" შესრულებას.

4. პრემია გაიცემა ერთჯერადად, კონკურსის წესით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1. ფონდი – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;

2. გენერალური დირექტორი – ფონდის გენერალური დირექტორი;

3. საკონკურსო განაცხადი - პრემიის მოპოვების მიზნით, ამ წესით განსაზღვრული პირობების მიხედვით ფონდში წარდგენილი საკონკურსო განაცხადი;

4. შეფასების კრიტერიუმები – ფონდში წარდგენილი საკონკურსო განაცხადების შესაფასებლად საკონკურსო კომისიისთვის განსაზღვრული, ამ წესით დამტკიცებული სახელმძღვანელო პრინციპები სათანადო ქულების მითითებით;

5. საკონკურსო კომისია – კონკურსზე დარეგისტრირებული საკონკურსო განაცხადების შემფასებელი კოლეგიალური ორგანო, რომელიც შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად განიხილავს და აფასებს კონკურსში შემოსულ საკონკურსო განაცხადებს და ავლენს გამარჯვებულს;

6. პრემია – გამარჯვებული მეცნიერის მიერ კონკურსის შედეგად მოპოვებული ფულადი ჯილდო;

7. პრემიის მიმღები - კონკურსის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული პირი;

8. მიზნობრივი ანგარიში – გამარჯვებული მეცნიერის მიერ წარმოდგენილი საბანკო ანგარიში.

მუხლი 3. პრემიის კატეგორია და ფინანსური რაოდენობა

1. კონკურსი ითვალისწინებს **მათემატიკის** მიმართულებით განსაკუთრებული მიღწევების მქონე მეცნიერი ქალის დაჯილდოებას ერთჯერადი პრემიით.

2. პრემიის რაოდენობა შეადგენს **2500** ლარს.

მუხლი 4. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და პირობები

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს **მათემატიკის** მიმართულებით მოღვაწე საქართველოს მოქალაქე მეცნიერ ქალს, რომელიც ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს და ეწევა სამეცნიერო-კვლევით ან/და აკადემიურ საქმიანობას საქართველოს სამეცნიერო კვლევით ინსტიტუციაში ან/და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. საკონკურსო განაცხადს წარადგენს თავად პრემიის კანდიდატი.

3. საკონკურსო დოკუმენტაციის რეგისტრაცია შესაძლებელია ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში [Grants Management Unified System] ელექტრონულად.

4. კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვთ ფონდის მიერ ადმინისტრირებული შემდეგი კონკურსების გამარჯვებულებს:

- 2022 წლის სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის კონკურსი - "ქალები მეცნიერებაში" - განსაკუთრებული მიღწევებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით;
- 2023 წლის სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის კონკურსი - "ქალები მეცნიერებაში" - განსაკუთრებული მიღწევებისათვის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მიმართულებით;
- 2024 წლის სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის კონკურსი - "ქალები მეცნიერებაში" - განსაკუთრებული მიღწევებისათვის ბიოქიმიისა და მოლეკულური ბიოლოგიის მიმართულებით.

მუხლი 5. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსს აცხადებს და გენერალური დირექტორის მიერ დადგენილი წესით ადმინისტრირებას უწევს ფონდი.

2. კონკურსის ადმინისტრირების ეტაპებია:

ა) კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით - **01 სექტემბერი** 2025 წელი;

ბ) ჯგუფური ონლაინ კონსულტაციები - ზუსტი თარიღი და დრო გამოქვეყნდება ფონდის ვებგვერდზე;

გ) საკონკურსო განაცხადების ელექტრონული რეგისტრაცია - 02 სექტემბერი - 19 სექტემბერი 2025 წელი;

დ) ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენის ბოლო ვადა - 23 სექტემბერი 2025 წელი;

ე) საკონკურსო დოკუმენტაციის კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა (ტექნიკური ექსპერტიზა) - სექტემბერი-ოქტომბერი;

ვ) შუალედური შედეგების გამოქვეყნება - ინფორმაცია კონკურსის პირობების დარღვევით წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადების მოხსნის შესახებ - ოქტომბერი;

ზ) საკონკურსო კომისიის მიერ, შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით, შეფასებული განაცხადების რანჟირებული სიის მიხედვით, გამოვლენილი გამარჯვებული კანდიდატის დამტკიცება - ოქტომბერი/ნოემბერი;

თ) კონკურსის შედეგების გამოცხადება - ოქტომბერი/ნოემბერი.

მუხლი 6. კონკურსზე რეგისტრაციის წესი და წარსადგენი დოკუმენტაცია

1. მეცნიერი რეგისტრირდება ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUSში [Grants Management Unified System და ქმნის „მეცნიერის პროფილს";

2. კონკურსში რეგისტრაცია ხორციელდება შემდეგი ფორმით:

ა) ელექტრონული რეგისტრაცია – **2025 წლის 02 სექტემბრიდან 19 სექტემბრის** 18:00 საათამდე;

ბ) ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია - კონკურსში მონაწილეობის შესახებ ორიგინალი ხელმოწერით დამოწმებული განცხადების (იქმნება GMUS-ში რეგისტრაციის დასრულების შემდეგ) მატერიალური ფორმით წარმოდგენა – **2025 წლის 23 სექტემბრის** 18:00 საათამდე.

3. კონკურსში მონაწილეობისათვის მეცნიერი გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (http://gmus.rustaveli.org.ge) ელექტრონულად არეგისტრირებს საკონკურსო განაცხადს, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისგან:

ა) კრებსითი ინფორმაცია (დანართი N2, ივსება GMUS-ში საკონკურსო განაცხადის რეგისტრაციის დროს);

ბ) განმცხადებლის სამოტივაციო წერილი ქართულ ენაზე (დანართი N3, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);

გ) განმცხადებლის პროფესიული ბიოგრაფია - გენერირდება გრანტების მართვის ერთიანი სისტემიდან - GMUS-იდან, ქართულ ენაზე (დანართი N4, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);

დ) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც იტვირთება „მეცნიერის პროფილში";

თუ აღნიშნული დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს აღნიშნული დოკუმენტის ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება.

ე) ცნობა **მათემატიკის** მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი ან/და აკადემიური საქმიანობის შესახებ, დამოწმებული შესაბამისი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ორგანიზაციის

ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), **2025** წლის მდგომარეობით. (იტვირთება GMUS - ში - „მეცნიერის პროფილში“, PDF დოკუმენტის ფორმით);

ვ) დამატებითი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში): სერტიფიკატი, ჯილდო, პრიზი, პატენტი და სხვა (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის ფორმით);

ზ) განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი N5, გენერირდება GMUS-დან).

4. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში მეცნიერმა უნდა წარმოადგინოს მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც ჩაირიცხება პრემიის თანხა.

5. ვადის დარღვევის, ყალბი ან/და არასრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში პრემიაზე წარდგენილი საკონკურსო განაცხადი ფონდის მიერ საკონკურსოდ არ განიხილება და მოიხსნება.

მუხლი 7. პრემიის გაცემის პროცედურა

გამარჯვებული კანდიდატისათვის პრემია გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით, მე-3 მუხლში მითითებული კატეგორიისა და ოდენობის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

მუხლი 8. საკონკურსო განაცხადების შეფასება

1. ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის დარგობრივ საკონკურსო კომისიას და განსაზღვრავს მისი მუშაობის წესს;

2. შეფასება ხორციელდება საკონკურსო კომისიის მიერ ამ წესის მე-10 მუხლით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით.

3. საკონკურსო კომისია განიხილავს და შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად აფასებს კონკურსში დარეგისტრირებულ საკონკურსო განაცხადებს; ადგენს რანჟირებულ სიას; გამოავლენს ერთ გამარჯვებულს და დასამტკიცებლად წარუდგენს ფონდის გენერალურ დირექტორს;

4. გენერალური დირექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საკონკურსო კომისიის მიერ გამოვლენილ გამარჯვებულ საკონკურსო განაცხადს.

მუხლი 9. ინტერესთა კონფლიქტი

1. დაუშვებელია საკონკურსო კომისიის წევრი იყოს ამავე კონკურსის მონაწილე.

2. დაუშვებელია საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებისა და დამტკიცების პროცესში მონაწილეობდეს საკონკურსო კომისიის წევრი:

ა) რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია კონკურსის მონაწილეებთან ან მონაწილეობდა მათთან ერთსა და იმავე სამეცნიერო-კვლევით პროექტში ან მუშაობს ერთსა და იმავე სტრუქტურულ ერთეულში (ფაკულტეტი, ინსტიტუტი, დეპარტამენტი);

ბ) რომელმაც შესაძლოა მიიღოს უშუალო პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი საკონკურსო განაცხადის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;

გ) რომელსაც აქვს საკონკურსო განაცხადის ავტორებისაგან ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიცია;

დ) რომელიც თვითონ არის დაინტერესებული; კონკურსის მონაწილის ნათესავია; კონკურსის მონაწილის წარმომადგენელია; შრომით ურთიერთობაშია კონკურსის მონაწილესთან.

3. ამ დებულების მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

4. საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.

5. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია საკონკურსო კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ფონდისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული განაცხადის დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია იმსჯელოს შესაბამისი საკონკურსო კომისიის წევრის მიერ გაკეთებულ შეფასების გაუქმების შესახებ.

მუხლი 10. საკონურსო განაცხადების შეფასების კრიტერიუმები

საკონკურსო განაცხადები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

1. სამეცნიერო კვლევითი/აკადემიური საქმიანობა	1	2	3	4	5
• საკვლევი თემატიკის სამეცნიერო ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნელობა; • სამეცნიერო/აკადემიური მიღწევები; • სამეცნიერო ნაშრომები ბოლო 5 წლის განმავლობაში; • სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა; • საერთაშორისო/ეროვნულ სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა; • საერთაშორისო/ეროვნული ჯილდოები, პრიზები, სტიპენდიები, წევრობა და სხვა • საერთაშორისო/ეროვნულ საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა;					
2. ცოდნის გადაცემისა და გავრცელების ხელშეწყობა	1	2	3	4	5
• სამეცნიერო პოპულარულ, შემეცნებით აქტივობებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა • ლექციების, სემინარების ჩატარება • დარგის პოპულარიზაციის ხელშემწყობი აქტივობების განხორციელება და სხვა					
3. სამეცნიერო გეგმები	1	2	3	4	5
შემაჯამებელი ქულა და კომენტარი					

ა) თითოეული კრიტერიუმი ფასდება მინიმუმ 1, მაქსიმუმ 5 ქულით.

ბ) სამივე კრიტერიუმისათვის ჯამურად მინიმალური შესაძლო შეფასებაა 3, მაქსიმალური -15 ქულა.

გ) თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ საკონკურსო განაცხადს, რომელიც ჯამურად მაღალ ქულას დააგროვებს თანმიმდევრულად პირველ, შემდეგ მეორე კრიტერიუმში.

დ) შემაჯამებელი შეფასება უნდა შეესაბამებოდეს კრიტერიუმების 5-ქულიანი (1-5) სისტემით შეფასებას და განიმარტება შემდეგნაირად:

ქულა	შეფასება	განმარტება
1	სუსტი	საკონკურსო განაცხადი არაადეკვატურად პასუხობს მოცემულ ქვეკრიტერიუმს, გართულებულია შეფასება არასაკმარისი, ბუნდოვანი ან შეუსაბამო ინფორმაციის გამო.
2	დამაკმაყოფილებელი	საკონკურსო განაცხადი ზოგადად პასუხობს მოცემულ ქვეკრიტერიუმს, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი უზუსტობები და სუსტი მხარეები.
3	კარგი	საკონკურსო განაცხადი კარგად პასუხობს მოცემულ ქვეკრიტერიუმს, მაგრამ აქვს გარკვეული ხარვეზები და საჭიროებს გაუმჯობესებას.
4	ძალიან კარგი	საკონკურსო განაცხადი ძალიან კარგად, ზუსტად პასუხობს მოცემულ ქვეკრიტერიუმს. გამოკვეთილია ორიგინალურობა და სამეცნიერო პოტენციალი, თუმცა შესაძლებელია გარკვეულწილად დახვეწა.
5	საუკეთესო	საკონკურსო განაცხადი საუკეთესოდ პასუხობს მოცემულ ქვეკრიტერიუმს, შეიძლება არსებობდეს უმნიშვნელო ერთეული შენიშვნები, რომლებიც არ ეხება სამეცნიერო პოტენციალს.

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (Grants Management Unified System)
პროექტის რეგისტრაციის დროს

კრებსითი ინფორმაცია კონკურსის შესახებ

I გვერდი
ზოგადი ინფორმაცია

1	განმცხადებლის პირადი ნომერი	
2	განმცხადებლის სახელი, გვარი	
3	განმცხადებლის ელ.ფოსტა	
4	განმცხადებლის ტელეფონის ნომერი	
5	სამეცნიერო მიმართულება	საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი
6	ქვემიმართულება	მათემატიკა
7	კატეგორია	
8	სამოტივაციო წერილი	PDF ფაილის ატვირთვა
9	პროფესიული ბიოგრაფია	PDF ფაილის ატვირთვა
10	დამატებითი დოკუმენტაცია: სერტიფიკატი, ჯილდო, პრიზი, პატენტი და სხვა (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის ფორმით);	PDF ფაილის ატვირთვა

დანართი №3

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო

ფონდის გენერალური დირექტორის

2025 წლის 01 სექტემბრის N129 ბრძანებით

სამოტივაციო წერილი

სამეცნიერო კვლევითი/აკადემიური საქმიანობა (საკვლევი თემატიკის სამეცნიერო ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნელობა; სამეცნიერო/აკადემიური მიღწევები; სამეცნიერო ნაშრომები ბოლო 5 წლის განმავლობაში; სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა; საერთაშორისო/ეროვნულ სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა; საერთაშორისო/ეროვნული ჯილდოები, პრიზები, სტიპენდიები, წევრობა და სხვა საერთაშორისო/ეროვნულ საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა);

(სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200)

ცოდნის გადაცემისა და გავრცელების ხელშეწყობა (სამეცნიერო პოპულარულ, შემეცნებით აქტივობებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა; ლექციების, სემინარების ჩატარება; დარგის პოპულარიზაციის ხელშემწყობი აქტივობების განხორციელება და სხვა)

(სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200)

სამეცნიერო გეგმები

(სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200)

დამატებითი ინფორმაცია

(სამეცნიერო ნაშრომების ბმულები, ჯილდოები/პრიზები/სტიპენდიები/ნომინაციები/პატენტები და სხვა)

დანართი 4

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (Grants Management Unified System)
მეცნიერის რეგისტრაციის დროს

პირადი ინფორმაცია

პირადი ნომერი:

სრული სახელი:

სქესი:

დაბადების თარიღი:

მოქალაქეობა:

საკონტაქტო ინფორმაცია

ელ.ფოსტა:

მობილურის ნომერი:

ქვეყანა:

ქალაქი:

მისამართი:

ენები

ენა	წერა	კითხვა	მეტყველება

განათლება

უმაღლესი აკადემიური ხარისხი/სტატუსი

აკადემიური ხარისხი/სტატუსი:

მინიჭების თარიღი:

მიღებული განათლება

აკადემიური ხარისხი/ სტატუსი	დაწესებულების დასახელება	ქვეყანა	სპეციალობა	დაწყების წელი	დასრულების წელი

ტრენინგები/სემინარები/სასწავლო კურსები

ორგანიზაციის დასახელება	ტრენინგის / სემინარის / სასწავლო კურსის თემა	დაწყების წელი	დასრულების წელი

პროექტები

მიმდინარე პროექტები

პროექტის დასახელება	პოზიცია	პროექტის ხელმძღვანელი	დაწყების თარიღი	დონორი

დასრულებული პროექტები

პროექტის დასახელება	პოზიცია	პროექტის ხელმძღვანელი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	დონორი

სამეცნიერო მიმართულებები

ძირითადი მიმართულებები

მიმართულება:

ქვე-მიმართულება:

კატეგორია:

დასაქმების ისტორია

მიმდინარე სამუშაო ადგილ(ებ)ი

სამუშაო ადგილი	სტრუქტურული ერთეულის დასახელება	თანამდებობა	მოვალეობები	დაწყების თარიღი

სამეცნიერო პროდუქტიულობა

პატენტები

დასახელება	გამცემი ორგანიზაცია	სარეგისტრაციო ნომერი	გაცემის წელი

სხვა პროდუქტები

პროდუქტის ტიპი	სარეგისტრაციო ნომერი	გაცემის წელი

სტატია / მონოგრაფია / სახელმძღვანელო

ტიპი	ავტორ(ებ)ი	სათაური	ჟურნალი	წელი

სტიპენდიები და ჯილდოები

სტიპენდიის/ჯილდოს დასახელება	გამცემი	მიღების წელი

სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

სამეცნიერო ფორუმის დასახელება	მოხსენების სათაური	ჩატარების ადგილი	წელი

პროდუქტიულობის მაჩვენებელი

#	ციტირების ინდექსი	h-ინდექსი
Google Scholar		
Web-of-Science		
Scopus		

დანართი №5
გენერირდება GMUS-ით

WST_2025

სარეგისტრაციო შიფრი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2025 წლის სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემია -"ქალები მეცნიერებაში" - განსაკუთრებული მიღწევებისათვის მათემატიკის მიმართულებით

წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო განაცხადის შესახებ, ვადასტურებ, რომ გავეცანი სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის **2025 წლის 01 სექტემბრის** N129 ბრძანებას „**2025** წლის სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის -"ქალები მეცნიერებაში" - განსაკუთრებული მიღწევებისათვის **მათემატიკის** მიმართულებით" - დაწესების და კონკურსის გამოცხადების შესახებ და ხელმოწერით ვაცხადებ კონკურსის პირობებზე თანხმობას. ასევე ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ ფონდის ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს.

ვეთანხმები, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს ამ ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას წარმოდგენილი განაცხადი კონკურსიდან.

ასევე თანახმა ვარ, რომ კონკურსის მიზნებისთვის ჩემი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს ფონდის მიერ.

გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩემი განაცხადი „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის -"ქალები მეცნიერებაში" - განსაკუთრებული მიღწევებისათვის **მათემატიკის** მიმართულებით" - კონკურსში.

განმცხადებელი (სახელი, გვარი)	
ელექტრონული ფოსტა	
ტელეფონის ნომერი	
ხელმოწერა	